

ტიერმინოლოგიისა და საერთო-სახალხო ენის
მიმართებისათვის სამეცნიერო-ტიქნიკური
პროგრესთან დაკავშირებით

მიუთითებენ ბოლო ორ ათწლეულში მომხდარ მნიშვნელოვან ცვლილებებზე სამეცნიერო და „ჩვეულებრივ“ ენათა შორის მიმართებათა გაგებაში. ტერმინოლოგიური ლექსიკა, რომელიც ადრე შედარებით მკვეთრად გამოიყოფოდა, როგორც მიმართებათა განსაკუთრებული სფერო, ახლა სულ უფრო და უფრო უახლოვდება საერთო ლიტერატურული ენის ლექსიკას. ეს აიხსნება მეცნიერებისა და ტექნიკის ზრდადი როლით თანამედროვე საზოგადოებაში¹. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები ხელს უწყობს სამეცნიერო-ტიქნიკური ტერმინების პოპულარიზაციას, მათ სწრაფ გავრცელებას საზოგადოების ფართო ფენებში.

სამეცნიერო ტერმინების საერთო-სახალხო ლექსიკაში გადასვლის უამრავი მაგალითის დასახელება შეიძლება. აქ ძირითადად ორგვარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: მისი პირდაპირი, ე. ი. ტერმინოლოგიური, და გადატანითი მნიშვნელობით ხმარებასთან.

სამეცნიერო ტერმინთა საერთო-სახალხო ენაში გადასვლა აიხსნება არა მარტო მეცნიერების ცნების პრესტიჟით, არამედ ენის მომხმარებელთა კულტურის დონითა და თვით მეცნიერების დარგის მიღწევებით. ამის საილუსტრაციოდ საკმარისი იქნება რამდენიმე მაგალითის დასახელება. „გული გაუსკდა“ დღევანდელ სიტყვახმარებაში მხოლოდ ხატოვანი გამოთქმაა ძლიერი შეშინების გამოსახატავად. პირდაპირი მნიშვნელობით მას თითქმის აღარავინ ხმარობს. ამბობენ, ინფარქტი აქვსო. შესაძლოა, ეს მედიცინის მეცნიერების მიღწევებითაც აიხს-

¹ Р. А. Будагов, Некоторые особенности языка в эпоху научно-технической революции. Всесоюзная научная конференция по теоретическим вопросам языкознания (11—16 ноября 1974 г.). Тезисы докладов и сообщений пленарных заседаний, гв. 18.

ნას. პირველი გამონათქვამი ლეტალურობას გულისხმობს, ახალი ტერმინი კი უფრო ოპტიმისტურია. ასევე **საყმაწვილოს** ნაცვლად **დიათეზი**, **წელკავის** ნაცვლად **ლუმბაგო**, **ნიკრისის ქარის** ნაცვლად **პოლაგრა** გავრცელდა ხალხში.

ტერმინთა საერთო-სახალხო ენაში გავრცელების თვალსაზრისით სპეციალურად ვაკვირდებოდით ზოგი მწერლის ენას. ჭ. ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“ წაკითხვისას ყურადღება მიიპყრო იმან, რომ სამეცნიერო ტერმინები უპირატესად გვხვდება ნასწავლი პირების (გრაფი სეგედი, ზარანდია...) მეტყველებაში:

ზარანდია ჩემს რეაქციას დაელოდა (126,1)²;

ამ ტრაგიკული მოვლენის პროცესში მოხდა ისეთი ამბავი, რამაც თუმცა კომიკური, მაგრამ უფრო ძლიერი რეზონანსი მიიღო, ვიდრე თვით ტრაგედია (125,2);

კარგი კარიერის ვაკეთებისათვის, დაწინაურებისათვის სამსახური დადებით ნიშნად მიმაჩნია, თუ ეს არ ხორციელდება აკრძალული ილეთების, უსუფთაო ხერხების გამოყენების გზით (109,1);

ბატონო დოცენტო, — ჰკითხა ზარანდიამ, — რას მოელოთ რევოლუციისაგან პირად ასპექტში? (115,8);

საფიქრებელია, რომ ერთსა და იმავე ახალშობილს ყველა ზნეობრივი თვისების ჩანასახი ტოლი სიდიდისა ვერ ექნება. ალბათ, ზოგი ქარბი პოეტენციისა ექნება და ზოგიც ნაკლულისა ... მოსალოდნელია, რომ პროდუქტიც მეტ-ნაკლებად ნორმალურ თვისებებიანი დადგება (126,7).

განსაკუთრებით ჭარბად ვხვდებით ტერმინებს ტარიელ ჭანტუიას პოეზიაში. მათი პირდაპირი მნიშვნელობით ხმარების ნიმუშებია³:

ქმრისგან ჩავლებულ შავ ამალის სახსოვრად ჩემი ყველა ალიბი (270,25);

დრომ დაუჩუტა და დახრა მისი ბრინჯოს ბიცეპსი (199,25);

ლიმილს ამოვიკოცნი და თვალების ოვალს (25,2);

„მიყვარს“ — აი, პაროლი სამოთხეში შესასვლელად (203,17);

ყოველ უბრალო პას სიცოცხლე უნდა ასი! (მთვარე მიგორავს ცაზე, ვით უზუსტესი პასი) (249,11);

ტრანსატლანტიკური დრუბლის ნაჭრით შევიმშრალე შუბლი (22,1);

შეიძლებოდეს სიყვარულის ტრანსპლანტაცია (155,20);

ჰიკ-ჰიკ! — ჰიკიკებს გული ექიმის ფონენდოსკოპთან (170,8);

დაირღვა ძველის-ძველის ძველი ულამაზესი პარამონია;

ყოველ მეათე დედაკაცში დღეს მამაკაცის პარამონია! (162,13);

² ვსარგებლობთ „საბჭოთა საქართველოს“ 1978 წლის გამოცემით. ფრჩხილებში მითითებულია ნაწარმოების გვერდი და აბზაცი, სხვა შემთხვევებში — გვერდი და სტრიქონი, ან გვერდი და თავი.

³ ტარიელ ჭანტუიას, თავლობის საუკუნე, „საბჭოთა საქართველო“, 1978.

შენ არ ნებდები სევდას უმეცარს, მაგრამ ნაღველი, ვით რეციდივი, აფრი-
აღდება გულში უეცრად (252,10);

ჩხრიალებდა კორღზე ღელე, სხარტი, როგორც კალამბური (133,17);

ტკაცუნობს ბიჭი, როგორც ჩამრთველი, რომლის ხმას უკვე მოჰყვა სი-
ნათლე (143,11);

და დედამიწა, — ვეება ტირი, — სადაც გასროლა არა ღირს ძვირი, ვიდაცას-
ელის (180,5).

სამეცნიერო ტერმინების გამოყენება არა მარტო პირდაპირი მნიშ-
ვნელობით, არამედ სხვა დანიშნულებისთვისაც ცნობილი და ძველთა-
განვე გავრცელებული მოვლენაა. მაგრამ დღევანდელ სალიტერატურ-
ო ენაში იგი ორდინარულ მოვლენად იქცა. არავის ეჩითირება დღეს
ფრაზა: „ფილიპინები ჩვენ ფასადიდან ვნახეთ. მიუხედავად ამისა ინ-
ტერიერის ზოგიერთი დეტალიც გამჟღავნდა“⁴, სადაც ოთხი ტერმინია
გამოყენებული. ანდა: „ზარანდია იყო ლაბირინთი, საიდანაც კარში
გამოსასვლელს მხოლოდ შემთხვევის ძალა ან უამთა მსვლელობა გა-
პოვინებს“ (ჭ. ა. 109,2 ქვემოდან).

სამეცნიერო ტერმინის ხმარების არის გაფართოების შემთხვევე-
ბი ყველაზე მეტად პოეზიის ენაში გვხვდება. მაგალითები ისევ ტ. ჭან-
ტურიას კრებულიდან:

გამოვაბი უფალს ცისარტყელას ტროსი (172,9);

მისი ავკაცობა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.
(167,7—8);

კვდება ველზე ცისარტყელა — ღრუბლით ვენებგადაჭრილი (133,3);

ყველა ბორცვს და ბეჭობს დაიჭერს მდინარის გაღმა გადასხმული ჩემი დე-
სანტი: დიდი სიცოცხლის დიდი დესანტი (146,5);

(დესანტი აქ მიცვალებულია, რომელიც ქარონს საიჭიოში გადაჰყავს).

პოეზიის ასეები ლექსის პიტიახშები!.. მუდამ დამარცხებული პოეზიის
ასეები! (68,18—19);

და ყვირილა — მოკლე, როგორც თერგის აბრევიატურა (32,22);

ხმა ვერ შევუწყვე წყაროს კამერტონს (72,19).

ცხადია, პოეტი სამეცნიერო ტერმინს თავის პოეზიაში გამოიყე-
ნებს უპირატესად არა მისი მეცნიერული მნიშვნელობით, არამედ მეტა-
ფორულად, ემოციური დატვირთვით. ტერმინოლოგიური მეტაფორე-
ბის მაგალითები შეიძლება შეგვხვდეს ყველა დიდ პოეტთან. თანამედ-
როვე პოეტთაგან განსაკუთრებით ჭარბად იყენებს მას, როგორც ზე-
მოთ აღინიშნა, ტ. ჭანტურია:

4 გ. ასათიანი, ფორტ სანტ-იაგოდან ხატინამდე, ლიტერატურული საქარ-
თველო, 6 ივნ. 1975.

ბადრი მთვარე დასაძინებელს არიგებს ა ბ ე ბ ს (113,26);

როგორ მოვსდია (sic) გახსოვს პორტამდის ბ რ ი ზ მ ა, აძრულმა ჩემი კაბი-
დან... სირცხვილი შენი, რომ ა ბ ო რ დ ა ე ზ ე ვერ ამიყვანე დღემდის, კაბი-
ტანი (273,32);

მწვანე ალგების გ ის ო ს ე ბ ი დ ა ნ დააკვირდი ქვეყნიერებას (179,14);

მოდი, მეფევ, დიდ წარსულში

გავაკეთოთ გ რ ძ ე ლ ი რ ო ქ ი ...

შენ აქ მოდი, მე იქ წავალ... (19,12);

ვაკვირდები ცისარტყელას —

ცის და მიწის გამყოფ დ ე ფ ი ზ ს (sic) (22,10);

და ყ ო ვ ნ ე ბ უ ლ ი მოქმედების ცისფერი ბ ო მ ბ ი —

ჩაბუღებულ შენს სხეულში — ცისფერი თ რ ო მ ბ ი!

... დაგინაღმეს სხეული ბ ო მ ბ ი თ (169,17—23);

დრომ კი ივერიის ულამაზეს არხებს გაუჩინა თ რ ო მ ბ ი (141,20);

ლურჯი ოცნების მძლავრ კ ა ტ ა პ უ ლ ტ ი თ

ისევ წარსულის ჩრდილში დაგბრუნდი (44,15);

ჩასცქერის ბუხარს, სადაც ხდება ახოვანი და ამაყი

ცაცხვის კ რ ე მ ა ც ი ა (206,15);

ოცდაათნაირი ფლორტის და სიყვარულის ე რ გ ო პ ა ტ ე ნ ტ ი (277,48);

პ რ ი მ ა - პ ლ ა ნ ე ტ ი ს უსასრულო პ ი რ უ ე ტ ე ბ ი (257,13);

დაღუმებული საყდრების სევდა და ხმაურიან ქუჩების პ ლ ი ს ე! (258,22);

მსურვალე ვნების პ რ ო ტ უ ბ ე რ ა ნ ც მ ა

გადაამწიფა ზელდას ყურძენი (274,37);

მიირწეოდა რუსთაველზე ლურჯთვალა ქალი!

— ვაიმე, ბიჭო, რა გოგოა!

— რა დიაცია!

... ასი რ ე ნ ტ გ ე ნ ი თ გაიზარდა რ ა დ ი ა ც ი ა (140,21);

ქუჭრუტანიდან შემომძვრალი მტვრიანი სხივის

მზიარულ რ ე ვ ე რ ბ ე რ ა ც ი ა ს მესედ ვისმენ (150,12);

მეათასედ ვეკითხები ხსოვნას — ჯიუტ რ ე ს ტ ა ვ რ ა ტ ო რ ს (127,3);

გამოვწურე სხეულს სულის ძელგი ღვინო

და თბილისის მიწას ჩავაბარე ტ ა რ ა (222,15);

გული ინდიელს ჰგავს — ცრემლით ტ ა ტ უ ი რ ე ბ უ ლ ს (259,17);

ბეუტავს თაროზე ჩვენი წიგნები — ჩვენი ცხოვრების უბრალო ტ ი ტ რ ი .

ფ ი ლ მ ი ს თ ვ ი ს, სადაც ჩვენ არ ვიქნებით (144,11);

ს ტ რ ი ბ ტ ი ზ ი — მოკლულ ვნების ფ ი ტ უ ლ ი (256,15);

პერონზე ვაჟკაცს აცილებენ — ხარხალას, მაღალს:

ღარჩა სიყვარულის ს ა მ კ უ თ ხ ე დ ი პ ი ბ ო ტ ე ნ უ ზ ი ს გარეშე (203,21).

ტერმინოლოგიური მეტაფორის ხშირი გამოყენება იმას იწვევს, რომ მას აღვიქვამთ როგორც ახალ სიტყვას, ან ახალ მნიშვნელობას. ამის საილუსტრაციოდ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, ლექსი-კონებიდანაც კი: **ზონდირება** — 1. ზონდით რისამე გასინჯვა. 2. (გა-დატ.) წინასწარ რისამე გარკვევა, ნიადაგის მოსინჯვა: დაზვერვა⁵.

⁵ მის. ქ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1973.

სიტყვამ **ავტომატი** ტელეფონ-ავტომატის კაბინის მნიშვნელობაც შეიძინა⁶. სიტყვას **მანტია** დედამიწის ერთ-ერთი გეოსფეროს აღნიშვნაც დაეკისრა.

არასპეციალური დანიშნულებით ტერმინის გამოყენება იწვევს მისი მნიშვნელობის გაფართოებას. თუ **დრეიფი** ნიშნავს დინების ან ქარის გავლენით ხომალდის კურსიდან აცდენას (პაერში იქნება ეს თუ წყალში), ტ. ჭანტურიას ენაში იგი, ალბათ, უნდა განისაზღვროს ზოგადად როგორც მოგზაურობა დინების მიმართულებით:

სანამ პარიზის ცის ლავარდებში არ დაწყებულა ჩემი დ რ ე ი ფ ი, უნდა მოვასწრო შექმნა ანდერძის (265,9).

კანიალიზმი თავისივე სახეობის ცხოველიჭამიობის მნიშვნელობითაა ნახმარი: „კასრში მორიგი **კანიალიზმი** მზადდებოდა“ (ჭ. ა. 156,11).

პოეტურ ენაში **ნავსაყუდარი** საერთოდ თავშესაფარ, განსასვენებელ ადგილად იქცა. „აქ, საუკუნო **ნავსაყუდარში** შემოვა იგი“ (88,22).

რეპეტიცია წინასწარი გასინჯვაა რამისა (და არა მხოლოდ სანახაობისა):

ძილი — სიკვდილის რ ე პ ე ტ ი ც ი ა (270—23).

კლავიატურა ერთობლიობა (და არა სახელდობრ კლავიშთა ერთობლიობა): „დათა თუთაშხიას დოსიემ... დანაშაულთა და ჩადენის ხერხთა მთელი **კლავიატურა** მოიცვა“ (ჭ. ა. 105,2).

ჭ. ამირეჯიბთან **ხერხთა კლავიატურის** გარდა გვხვდება **ხერხთა დიაპაზონი**, ოქტავა: „წინააღმდეგობის გაწევის ხერხთა **დიაპაზონი** ფართოა“ (ჭ. ა. 183,6);

ეს ვრცელი დიაპაზონი მივიჩნით დამნაშავეის ხელწერად (ჭ. ა. 104,3), დამნაშავეის კრიმინალური აქტივი შეიცავს ბოროტმოქმედების ხერხთა სრულ ოქტავას, იქნებ, რამდენიმე ოქტავასაც (ჭ. ა. 104,3);

„გ. ლორთქიფანიძისა და ოთარ მეღვინეთუხუცესის შემოქმედებითი ურთიერთობა ის ბედნიერი მაგალითია, როცა რეჟისორი ამდიდრებს მსახიობს და მსახიობიც ასეთ მაღალ დონეზე წარმოგვიდგენს რეჟისორის ნაფიქრ-ნააზრევს. ასეთი ურთიერთობა საკმაოდ იცის თეატრის ისტორიამ (მარჯანიშვილისა და უშანგის შემოქმედებითი ტანდემი გავიხსენოთ თუნდაც)“. (გურამ ბათიაშვილი, მისი მთავარი როლი, ლიტ. საქართველო, 14 დეკ. 1979, გვ. 2).

ასეთი თავისუფალი მოპყრობა ტერმინთაღმი მეცნიერებაში განგაშს იწვევს, რადგან ხდება მათი გაუფასურება, ზუსტი ტერმინოლო-

⁶ Новые слова и значения. Под редакцией Н. З. Котеловой и Ю. С. Сорокина, М., 1971.

გიური მნიშვნელობის გაბუნდოვანება⁷, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ მწერალი ტერმინს იყენებს ზოგჯერ არა მარტო არაზუსტი მნიშვნელობით, არამედ შეცდომითაც:

ღვთიურ წრებაზის სექტორები და სეგმენტები (257,14);

სმენას სექტემბრის ხმები ათრობენ, მზე კი თვალეში მალვრის ატროპინს (113,17);

(ატროპინს გუგების გასაფართოებლად ხმარობენ მედიცინაში. მზე კი საწინააღმდეგო რეაქციას იწვევს).

ცარცით დახაზულ ვიწრო კვადრატში (141,2);

ის იყო ერთ დროს ჩემი წაწალი

და სუნთქვა მისი — ჩემი ბიბლია (268,18).

იმდენად დიდია ტ. ჭანტურიას გატაცება ტერმინებით, რომ ეს სიტყვათწარმოებაშიც აისახა, თუმცა ორთოგრაფიული ნორმა თანმიმდევრულად დაცული არაა:

ტრანს-საოცნებო ლიანდაგები (212,15);

სუპერ-ლანდები, ანუ მინაწერი პლატონის წიგნზე (236,5);

სუპერბომბები, სუპერცრემლები და ულტრამოკლე ბედნიერება (179,22);

პიპლანდიაში მორიგი ტარდება სექსპერიმენტი (29,7—8).

ტერმინის ღირებულება მის სიცხადეში, ცნების გარკვეულობაში მდგომარეობს. ტერმინის სიზუსტე გაპირობებულია მისი სისტემურობითაც. როცა ტერმინი გაგვაქვს თავისი სისტემიდან, ამით მას ფაქტობრივ ვუკარგავთ ტერმინოლოგიურ სიზუსტეს, რომ არაფერი ვთქვათ უკიდურეს შემთხვევებზე, როცა ტერმინს ბუნდოვან სიტყვად ვაქცევთ. ამგვარი გატაცებები სჩვევიათ არა მარტო პოეტებს, არამედ ჟურნალისტებსაც: როდესაც გაზეთი რუბრიკით „ფეხბურთის გლობუსი“ აქვეყნებს ფეხბურთთან დაკავშირებულ სხვადასხვაგვარ ამბებს⁸, „გლობუსი“ სიტყვის მნიშვნელობა გაბუნდოვებულია.

⁷ А. Н. Полтарацкий, Об использовании научной терминологии (წიგნში «Научно-техническая революция и функционирование языков мира», М., 1977, გვ. 178—186).

⁸ გაზ. „თბილისი“, 24 იანვ. 1980, გვ. 4.